ოქმი:**ო63. 6323097001**
თარიღი:**07/04/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N24

ქ.სამტრედია 28 მარტი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 28 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, ვალერიანე ფოცხვერია, მერაბ უღრელიძე, ლიზა კრავეიშვილი, პაატა კოხრეიძე, დავით ნიკოლეიშვილი, მაია ტალაბაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის)

ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

4. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

5. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (7 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით,</u> <u>მომხსენებელმა ისაუბრა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.</u>

<u>მან აღნიშნა, რომ</u> სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა (გარდა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისა) საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ცვლილებები.

კერძოდ, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შემცირდება შესყიდვების განყოფილების შესყიდვების საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული: ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურში შემცირდება ბუნებრივი რესურსების საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული: ეკონომიკური განვითარების , ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის აგრარულ საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული გარდაიქმნება აგრარულ და ბუნებრივი რესურსების საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად; ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილებას დაემატება სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული და სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული; განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის საკითხებში პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული გარდაიქმნება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ საშტატო ერთეულად; განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს დაემატება განათლებისადა ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული; ადმინისტრაციულ სამსახურში შემცირდება მედიასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული.

კომისიის წევრებმა, ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ცვლილებას.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) გადაწყვეტილებით, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, ჩამოყალიბდეს დანართი 1-ის შესაბამისად და აღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით,</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, ისაუბრა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2022 წლის 25 მაისს, 16-29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, შეტანილ იქნა ცვლილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 6 დადგენილებაში. ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტი ოქმს თან ერთვის.

კომისიის წევრებმა, მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ცვლილებებს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) გადაწყვეტილებით, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, ჩამოყალიბდეს დანართი N2-ის შესაბამისად და აღნიშნული საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით,</u> სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61–ე მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240–ე და 242- მუხლების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის მე–25 მუხლის საფუძველზე, დადგენილების პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მუხლი 1.

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესი, დანართი №1;

ბ) საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისა და გამოყენების წესი, დანართი №2;

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანდართული ფორმა, დანართი №3;

დ) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმა, დანართი №4;

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, დანართი №5;

ვ) გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის ფორმა, დანართი №6;

ზ) ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმა, დანართი №7.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის

თანდართული ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის

ჟურნალის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-

ანგარიშგების წესის ფორმის, გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ”

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის №43

დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 25. 09. 2015.

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.016184).

კომისიის წევრებმა, ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სააღსრულებო ფურცლის ფორმა გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით,</u> <u>მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ.</u>

კომისიამ იმსჯელა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს 61–ე მუხლის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 126-ე მუხლის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმის შესახებ.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) გადაწყვეტილებით,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის სააღსრულებო ფურცლის ფორმა, ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით და გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / მედეია ონიანი /

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი